

გაზეთის ფასი

გაზეთის ფასი... მარტის წლისა — 7 მან. ...

ქრონოსი



საქალაქო-მოსკოვი მიიღება:

ქრონოსი... რედაქციის კანტორაში, მედიკო-...  
ქრონოსის გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: ВЪ ТИЛИСЬ. ВЪ  
контору редакціи грузинской газеты «ВРЕМЯ».

საკოლონიკო და სალიტერატურო გაზეთი.

შინაარსი:

შინაგანი ცნობები.—რუსეთის ამბები.—  
„ღროების“ კორრესპონდენცია - ახალციხი-  
დან.—პოლიტიკა: შრანცია, — პრუსსია, — იტა-  
ლია, — ისპანია, — ბელგია. — სხვა და სხვა ამბავი. —  
ლექსი. — შოჩტა — ტელეგრაფი. — „ბატა აწონა“  
(კომედია). —

შინაგანი ცნობები.

დღეს 25-ს სექტემბერს, დილის ექვსს საა-  
თზე ზარბაზნის სროლამ გეაცნობა თბილისის  
მცხოვრებთა ღიღის მთავრის ნამესტნიკის ძის  
დაბადება. ღიღი მთავრის მეუღლე მღალა  
თეოდორა გენაძის მშვიდობით განთავისუფლდა  
ბორჯომში.

კატა აწონა.

კომედია

ორს მოქმედებათ.

მოქმედნი პირნი:

შაზარა წუწკიოვი, მოქალაქე.  
ლალუა, მისი ცოლი.  
ანდრია ბერიკაშვილი, გლეხი კაცი.  
შარსადანა ბალიხანიანი, მოქალაქე.  
ნონი მარუნოვი, მოქალაქე.  
ხანუმა და მამთალინა } შაზარას დები.  
მიხაბა, ბაყლის შავირდი.  
ივან პეტროვიჩი, ჩინოვნიკი.  
ილიკი, თავადის მოსამსახურე.  
ქვარტალინი და დესტინიკები.

მოქმედება პირელი.

სცენა წარმოადგენს პატარა ოთახს; ერთ მხარეს ძვე-  
ლი დივანი დგას და ძველი სკამები; დივანთან დგას  
ჩინა გადაკრული ფულის ზანდუკი; მეორე მხარეს—  
ტახტი, ზედ ძველი ქეჩა დაგებული და მუთაქა ძვეს;  
გვერდით ძველი ლომბერის სტოლი დგას, ზედ საწერ  
კალამი და დაუწერელი ქაღალდები აწყვიდა.  
(ლალუა ქეჩას ჰგვის ცოცხობ; ანდრის შემოდის  
შაზარა დიდრანი ძველი კალოშებით დაგლეჯილ წინ-  
დებზე და ძველ პალტოში გახვეული, მაღალი, ქარ-  
თული ქუდი).

შაზარა და ლალუა.

შაზარა.

ლალუა! რა შერები მაგას, ღმერთი არა  
გწამს? თავით გაცვეთილია ეგ ქეჩა—ხალჩა,  
კიდევ უნდა გაცეთო?... სოცნიც ხომ გაცე-  
დება, გვეც ძლივს მიშინია მუქათა, განა  
ცოცხში ფული უნდა მიეცე?  
ლალუა.

შაზარა.

მაშ მტვერში და ნაგავში ხომ ვერ ვიქნე-  
ბით, რათ ჯავრობ?  
შაზარა.  
მა! როგორ არ გაეჯავრდე, ერთი ცოცხი  
კაკიკათ არის, შენში ღმერთი არ არის? (წუ-  
წუნებს). მინ მომცა იმდენი ფული, რომ ცო-  
ცხი ვიყიდო ხოლმე; ხომ ხედამ ჩექმა არ მა-  
ცვია? მეც ოჯახის შვილი ვარ—მოქალაქე,  
ბაზარში რომ მკითხავენ კალოშები რათ გა-  
ცვია, მე ვეუბნები—ჩექმას ვერ ვიკომ, ფეხ-

მუთათისს გუბერნატორის განკარგულება:

„მერმის მისში იქნება, შმალდესი ნებართ-  
ვით, პეტერბურღში „ხელთნასაქმარი ნიეთე-  
ბის გამოფენა“ (ВЫСТ. МАНУФАКТ. ПРОМЫШЛЕН-  
НОСТИ). მაუწყებ რა ამაზედ, ძაკაზის სამე-  
ურნერო საზოგადოების“ განცხადებისა გამო,  
მუთათისს გუბერნიის უფზდის ნაჩაღნიკებს  
და პოლიციიმისტრებს, ვადღევ წინადადებას  
მიწვიონ ხალხი ამ გამოფენაში მონაწილეო-  
ბის მისაღებად. ამასთანავე იგზავნება თითო  
გზემბლარი ზემოხსენებული გამოფენის კა-  
ნონებისა და იმათი დამატებებიც“.

შაქათალის მაზრაში გაჩენილა ყვაილი და  
ზოგიერთ სოფლებს კიდევაც გვარინათ მოს-  
დებია. მაგრამ სიკვდილით კი რამოდენიმე  
კაცის მეტი არ მოუკლავს.

ბი მტკივა, აბა სადა მტკივა, ნახე! (ანგნებს ხან  
ერთს და ხან მეორე ფეხს). მაშ რა ექნა, რომ ასე  
არ მოვატყუო? არა, გამეცალი, მე შენ ვეღარ  
გაყურებ; შენ ჩემი ზარალი გინდა. (წარამეფს  
ცოცხსა და ტახტეშუ შეადგებს).

ლალუა.

მა ჩემი ბრალი შენ ხელში; ჩემი სიცო-  
ცხლე ოცი წელიწადი მეტია სულ წვითა და  
დავით გამიტარებია, კარგი ვერ ჩამიცოცხ;  
მუცელი ვერ გამიძღვია შენგან. (ზადის)

შაზარა.

(იწებს პირჯვარს). ტერ ასტუაც, ტერ ასტუაც!  
ღმერთო შემიწყალე, ამისთანა დედაკაცი იქ-  
ნება ეს ჩემი ცოლია? ოცი წელიწადი მეტია  
სულ ამ ჭირში ვარ ამისგან, სულ ფუსფუ-  
სებს, ფუსფუსებს; საქმე რომ გამოვლევა,  
ცოცხს მივარდება, აბა იქ რა მტვერი და ნა-  
გავია? (დაჭკამს ქეჩას ხელს და შეუბრავს; ამ დროს  
შემოდის ანდრია, დაღონებული სახით).

შაზარა და ანდრია.

ანდრია

ისევ შენთან მოვედი, შაზარ, მეტი ღონე  
არ არის; ნათქვამია შეჩვეული ჭირი სჯობია  
შეუჩვეველ ლხინსაო. შენ უნდა მასესხო ერთი  
თუმანი ფული; ძალიან მიჭირს, იასაული  
სახლში მიღვა, ცოლ-შვილი ლამის დამიწო-  
კოს; მე ვერსად გავხედი ღონეს; შენი ჭირიმე,  
რაც გინდა სარგებელი გამამართვი ოღონდ  
ეხლა კი ხელი გამიმართე.

შაზარა

მოდი, ძმა, აკი გითხარ ნუ დაჭკარვამ ძვე-  
ლსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა მეტქი;  
ჩემის მეტი შენ ვინ გიცნობს. აბა ვინ გენ-  
დება, დამიჯერე, მეტქი—გეუბნები, ისევ ჩე-  
მი გირჩენია გემართოს; სხვაზე მე უფრო  
იოლათ წავიყვან.

ანდრია.

შენმა აშენებამ, რაც შენ მე არა შემაწიო-  
რა! მანა არ მიციხნარ? ღმერთს გეფიცებო,  
ვალზედ რომ არ მოგცე თითქმის ერთი  
ორათ, ან თამასუქი არ გამოგცვალაო და  
სარგებელი ზედ არ შესო, მაშინვე ყელში  
წამიჭერ; რომელი მოვალე დამხრჩვალა, მა-  
გრამ შენკი დამახრჩობ.

შაზარა.

ბევრს ნუ ლაპარაკობ მეტქი, მე ისე აღარა  
ვარ; დავეწრო თამასუქი; ვეღარამდენი იყოს?

რუსეთის ამბავი.

მ. ბორზნოში (ჩერნიგოვის გუბერნიისში)  
25 მისის გახსნეს დროებითი უფასო შკოლა,  
სადაც ყველას, ვისაც კი ჰსურს, ოცდა ათი  
დლის განმავლობაში ასწავლიან წერა-კითხვას;  
შკოლაში ასწავლის ორი მასწავლებელი:  
უ. პულიაშვი და მფიშოვა, რომელთაც ისე  
კარგათ მიჰყავთ საქმე, რომ ახლაც აქეთ კე-  
თილი გავლენა იქაურ საზოგადოებაზედ.—

პეტერბურღის ახლოს—ლენსოში, ყურნ.  
„Двѣтѣи садъ“ის სიტყვით, არის „სამადლო  
სახლი“, რომელშიაც ინახვენ და ზრდიან შპ  
ახალგაზრდა გარყენილ ქალებს; ზემოხსენე-  
ბული ყურნალის სიტყვით, ამ სახლში არიან  
ისეთი 6—8 წლის ქალები, რომლებსაც და-  
კარგული აქეთ უბიწოება და ზოგი იმათგანი ცუ-

ანდრია.

მქესი თვე; კალოზამდინ დამაცალიე, კალო-  
ზედ მოგართმეე თავის სარგებლით.

შაზარა.

მაშ სარგებელიც ისე იქოს, ჰო? ორი კო-  
ლი წმინდა პური ჩემის ოცდა ხუთ გირვან-  
ქიანი ჩანახით; სხვისა ოცდა შვიდ გირვანქი-  
ანიც მეტია, მაგრამ არა, ძმა, მე შენ ვერ  
მოგატყუებ; ღმერთმა აგაშენოს, შენი პურ-  
მარილი მახსოვს არ დამაიწყდება.

ანდრია.

დაწერე რაქნა, მეტი რა ჯანი მაქვს; რო-  
გორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო.  
(შაზარა დაუწერს და წუთითხავს ციხორბით ხმა მა-  
ლა).

შაზარა.

„ათას რეას ორმოცდა ხუთსა წელსა შრი-  
სტეშობის ოცდა რეასა დღესა, მე ქვემოთ  
ამისა ხელის მომწერელმა, უკუღმა სოფელში  
მცხოვრებელმა სახელმწიფო გლეხმა ანდრია  
ბერიას ძემ ბერიკაშვილმა ავიღე ვალათ თქვენ  
მოქალაქის შაზარა ბაღდასარას ძის წუწკიო-  
ვისგან ათი მანეთი (თუმანი) რუსის სირმა ვე-  
რცხლი; თუმანზე სარგებელი ორი კოდი  
წმინდა პური კალოზე გაძლიო თქვენის ჩანა-  
ხით; დღეიდგან ექვსი თვე ვეღა და როდენ-  
საც თქვენი ფული მოითხოვოთ თავის სარ-  
გებლით სრულებით ჩაგაბარო მე, ანუ ჩემა  
მემკვიდრემ, შენ ანუ შენს მემკვიდრეს, უკე-  
თუ გავაჯანჯლო და საჩივარი გავიხადო, მა-  
შინ საიასაულოც მე გადავიხადო და ჩემა  
ურდუნა და ფურდუნამ, მოძრავმა და  
უძრავმა პასუხი გააცეს; ამისთვის ხელს ვაწერ...  
(შემოდის შარსადანა, ანდრია სიხოვს ხელი მოუ-  
წეროს).

ივინივე და შარსადანა.

ანდრია.

შული ვისესხე შაზარასგან, შენი ჭირიმე,  
ხელი მომიწერე; მე წიგნი არ ვიცი.

შარსადანა.

მოიტა, ძმა, მოვაწერო. (აწერს ხელს) „გლე-  
ხი ანდრია ბერიკაშვილი, რადგან ამან წერა  
არ იცოდა, ამისი თხოვნით და ხელის ჩამო-  
რთმევით, ხელს ვაწერ შარსადან ბალიხანი-  
ანიც“.

შაზარა.

(ჩანკალით აძლევს ერთ თუმანს ბუმაწიკი-  
დამ):

დი ავთამყოფობით ყოფილიყვენ ავთა, როცა  
იქ შესულან. ამ „სამადლო სახლში“ იმათ  
არჩენენ მუქთად, აცმევენ, ახურავენ და ას-  
წავლიან სამღეთო წერილს და სხვა საგნებს.  
რაც შეიძლება, კარგათ ეტყობიან და კარ-  
გათ უღლიან იმათ, რომ არ გაიქცენ და ხელ-  
ახლავ არ მისცენ გარყენილობას თავი. თი-  
თონ ღრი ძენინა მარიამ ნიკოლოზის ასუ-  
ლი ეწევა და ყურს უდგებს ამ სამადლო სა-  
ქმეს. როგორც ამბობენ, ზოგიერთი ამ ქა-  
ლებთაგანი მოქუციანდენ და კარგი ზნისაც  
შეიქენენ.—

ზოგიერთს რუსის გაზეთებში სწერენ, რომ  
წელს მოსკოვში, ნიჟნი-ნოვგოროდში, პიე-  
ში და მდესსაში რამდონიმე კაცი გახსნარა  
ხოლერით ავთ; მაგრამ ძლიერ სუსტათ, ასე  
რომ თითქმის სრულებით არაფერი ზიანი არ  
მოუტანია ამ ავთამყოფობას.—

ახ ჩემო ფულგობა, როგორც მე გამახარებ  
ხოლმე, ისე ამ ჩემი მეგობარი კაცის ცოლ-  
შვილი გაახარე ვინძლო! წადი, ძმა, ხეირი  
ნახე, ღმერთმა ხელი მოგიმართოს ვეღამდინ,  
ვეღაზე მზათ იყავ შაა, სადილიც კარგი მაქამე  
ვახშამიც, ჩემთვის კარგი დედალი გაასუქე  
მანამ.

ანდრია.

როგორც მოხვალ სენიანო, ისე წახვალ  
შინაო; რაც შენ მე მაქამე, იმას მე გაცემე.  
(გამაართმევს ფულს, დაუტრავს თავსა და გადის).

შაზარა.

მა! ჰხედამ ამას რაები სცოდნია აა?... (კით-  
ხულობს ხელმოწერილს). შარსადან ესეც მოა-  
წერე და!—შულის მიცემაში მოწმათ დავეს-  
წარ, მეტქი. (შარსადანა კითხულობს თამასუქს).

შარსადანა.

შაზარ, აქ ცოტა იანღლიში-აშიფვა მოსუ-  
ლხარ: ათი თუმანი დავწეროა, ერთი თუმანი  
კი მიეცი.

შაზარა.

შენ ვინა გკითხავს—ბარი ათ შურათაო?  
მე რა შენი საქმეა, თუ აშიფვა მოგსულვარ?  
შენ ხელი მოაწერე; იმისთვის დამიწეროა ათი  
თუმანი მეტქი, რომ გლეხი კაცი ჯანჯალია;  
ხომ იცი, ვეღაზედ თუ არ მომცა, ვეტყვი;  
გიჩივლებ ჩემა მზემ და ათ თუმანს წავართ-  
მე მეტქი.

შარსადანა.

მაშ იმას როგორ წაუკითხე ეს თამასუქი,  
ერთი თუმანი ავიღეო, თუ ათი თუმანი?

შაზარა.

არა, ათი მანეთი, მეტქი და თუმანზე ორი  
კოდი პური მაძლიოს.

შარსადანა.

მ! ეგ ისევე ის გამოდის, თი თუმნის ანგა-  
რიში! მოგატყუილებია საწყალი კაცი?

შაზარა.

შენ რა მკითხავი ხარ მომიტყუილებია, თუ  
არა? შვილო, თუ სწორეთ მათქმეიენებ, შენ  
მოსკოვის კუბუჭები მოატყუილე, ექვსი ათასი  
თუმნის საქონელი დასტყუე, თუმანში მანე-  
თიც აღარ მიეცია მოსკოველებისათვის, უთ-  
ხარ თუ გავკუტრდიო; ახლა კი ხემწიფურად  
ცხოვრობ; მე როდი შევედიარ შენ საქმეში,  
რამ შენ მაგას მეუბნები: მოგატყუილებია  
საწყალი კაცი!









ათი წლის წინ და რომელმაც სწერდნენ პოლმის პატრიოტები.

იტალია.

ფლორენცია სექტემბრის 9-ს. აქუერი „სახალხო მანეთის“ კორრესპონდენტი ძალიან კუთხ მდგომარეობას მოგვითხრობს იტალიისა: „ღვივდებენ უფრო ძნელდება თქვა რისამე ნამდვილისა აქუერ საქმეებზედა. მართის მხრით ხედავთ სამინისტროს, გაყოფილს ორ პარტიათ, რომელსაც არც საქმეებზე და რჩენა და არც დაშლა ჰქვართ და მეორეს მხრით—კოროლოს, რომელმაც არ იცის რა დაიწყოს და ძალიან გჯავრებულს. ამას ერთი დიდი გარემოება ემატება—ხაზინა თითქმის სრულდებით დაცარიელებულია.“

—მართა „სახოგადობა“ ტურინში გაუფხავნა მარბალდის შემდეგი წიგნი: „გენერალო! შიან კო პატრიოტები ჩაუყრიათ საპრობილეებში; ზოგს ისე ძალა დაატანეს, რომ იმათ დასტოვეს თავიანთი სამშობლო და იტანჯებიან უცხო ქვეყნებში გაგდებულნი; ახლა მოსამართლეებს სჯიან იმისთვის, რომ მართლათ სჭირან სამართალს; მკვლელები და მომწამლაეები დაუსჯავათ ასრულებენ თავიანთ საზარელს საქმეს; ზნეობითი სიმდაბლე სუფევს ყველგან.—აი, გენერალო, ახლანდელი მდგომარეობა ჩვენის მხრისა, იმ მხრისა, რომელსაც შესწირეთ თქვენ თქვენი კეკუა და ღონე და რომლის განთავსუფლებებისათვის ჩვენ ფომობდით თქვენის თაობით და თქვენს ხელქვეშე.“

„გენერალო! უკანასკნელის წიგნით თქვენ ძალიან საბუთიანათ მიჰმართეთ ნაციას, რომ იმას დაეკავებინა თავისი ღირსება; თქვენი ერთი სიტყვა არის საქმაო, რომ გამოიყენოს იტალიის ნაცია უმოკმედობისაგან და, თუ თქვენ იქნებით იმათ შუა, მაშინ ყველანი, ვისაც კი ესმის ღირსება თავის ნაციისა, მაშინვე გამოგყვებათ, საცა მიუშვებთ ხელს.“ ტურინი 1869-სა აგვისტოს 13-სა დღესა. (ხელმოწერილია).

ისპანია.

—ისპანიის მართებლობა სცილილობს მოიხმაროს უკანასკნელი ღონის ძიება, რომ არ გაუშვას ხელიდან მდიდარი კოლონია—ტუბა, რომელსაც ცოტაღა უკლია განთავსუფლებამდი.

—სექტემბრის 15-ს. დღეს ჰუბაზე წავიდა ორი ჯავშნიანი ცეცხლის გემი და 3,000 ჯარი. 7,000 კაცსაც მომავალი კვირის განმავლობაში გზავნიან.

ბელგია.

ბრუსელის სექტემბრის 12-ს. ზაზეთი „La Meuse“ის კორრესპონდენტი ნამდვილი წყაროებიდან ამბობს, რომ „იმპერატორს ნაპოლიონს უნდა დაეყოვნებლივ გადადგეს ტახტიდან თავისი შვილის სასარგებლოთაო. თუ ასე მოხდა, მაშინ რეგენტათ შეიქნება პრინცი იკონიმე ნაპოლიონი.“

საზარა და ლალუა

საზარა.

ლალოჯან, ამა ეს ბოთლი შირბახტის ზეთი, წყალი ადღუდე ხოლომე, შიგ ცოტა-ცოტა ზეთი დაასხი და ხახვიც წმინდათ დააქერი, მსუბუქი საქმელია, კუჭს არ დაამძიმებს, აი ხახვიც მომიტანა.

ლალუა.

იყიდე.. ვინ მოგცა?

საზარა.

შენ ხილი ჰამე, შეხილეს რათ კითხულობ— ვინ მომცა? მანა ამეებში ფული უნდა მიეცე... ეს ბოთლი ნონოზამ მითაეაზა, იმის დუქანში კნაზისთვინ ჩაი-შაქარი უყიდე იოკიმეს; იმებში ნონოზას მოგაგებინე ორი სა-მი მანეთი და ორი აბაზის ერთ ბოთლ ზეთ არ მითაგზებდაა? მელქუს დუქანშიაც თეე-ზი ხიზილადა, ბრინჯი უყიდე; მანეთ ნახე-ვარი მეტი იმასაც მოგაგებინე, მაშ ერთი აბა-ზისას ისიც არას მითაგზებდაა? ეს ხახვი იმას გამოვართვი, ნახევარ ჩარეკი ორაგუ-ლიც იმან მითაეაზა, მინაკამ არ მოიტანაა? ზეთი დაასხი მეთქი.

ლალუა

ჰო მოიტანა, ზეთი დაეასხი, მაგრამ....

საზარა

მა! მაგარი რა არის, ძველი იყო... თქვი და, ვა!

ლალუა.

რა ეთქვა, ორგული კატამ ჰამა....

საზარა.

მა! სწორე მითხარ, ლალოჯან, კატა რო-გორ ჰამდა, ტყუილო, მესუმრები?

ლალუა.

შენმა მზემ, კატამ ჰამა მეთქი, ხომ იცი, შენ ტყუილათ არ დგვიტყამ.

საზარა.

აბა ენახო ის კატა როგორია, თუ მართა-ლი ხარ?

ლალუა.

რა უნდა ნახო, კატა არ გინახამს, კრელია, კატა როგორი იქნება?

საზარა

პარგი, ლალოჯან, ნუ მესუმრები მეთქი; მოიყუა, შენ რა გინდა, ენახო ის კატა.

(ლალოჯანს კატის მოსაყვანათ; საზარა სას-წორს ამზადებს ასაწონათ და იტყვის.)

საზარა.

უნდა სწორე შევიტყო; მე იმ კატას აე-

სხვა და სხვა ამბავი

მრთს ანგლიელს—ზოგდსენს გამოუ-გონია წელს ისეთი გზის გაკეთება სხვა და სხვა სიმძიმის, (საქონელის მაგ.) გარდასატა-ნათ, ერთი ადგილიდან მეორემდი, რომელიც ძლიერ დაამკირებს, „მოსკოვის უწყებების“ სიტყვით, რკინის გზის საქობას. ეს ტვირ-თის გარდასტანი გზა, როგორც სწერენ, ამ ნაირათ არის მოწყობილი: ერთი ადგილიდან მეორემდი დასობილია სხვილ-სხვილი სვეტე-ბი; ამ სვეტებზე გაბმულია მათული ცრო-ვოლოკა) ისე, როგორც ტელეგრაფის სვე-ტებზე, მაგრამ ამი სმავთული, რასაკირველია, უფრო სხვილი და მაგარი უნდა იყოს; მათულ-ზე დადგვენ ბორბლიან ვაგონებს, ან დიდს ყოთებს, რომლებშიაც აწყვიტა რამ გადასტანი. მაგონები კი მოსდიან მოძრაობაში ლოკო-მობილით, რომელიც სტანციაზე მუშაობს.— ამ ნაირი გზისთვის არც ხიდები, არც სწორი ადგილი და არც სხვა რამ არის საჭირო. მე-როპაში ახლადე მოუქიდნიათ ამ საქმისთვის ხელი; ანგლიაში 9 ამისთანა სატვირთე გზა გაუშართათ, შრანციაში—7, ისპანიაში—3 და 1 იტალიაში. „მოსკოვის უწყებები“ ამ-ბობენ, რომ რუსეთშიაც აპირობენ, ამ მოკ-ლე ხანში, ამ ნაირი გზების კეთების შედგო-მასა.

ქინ ულის საკეთებელი მანა შინა. შოველთვის, როცა რომელსაზე სვედს ნიეთს ორთქლი ასდის, ის ცივდება ხოლმე; დაისვე-

წონ: თუ ერთი ჩარეკი გამოვიდა, ლალუა მართალია, კატას უტყვია, თუ ნაკლები მოვა, ლალუა ტყუის, ის ჰამდა.

(ლალოჯანს მოიყვანს კატას და აძლევს საზარას.)

ლალუა.

მეგონა გატყუებდი... აი ამ კატამ ჰამა, ხომ იცი, თევის მტერია ეს სუნაგი, ქურდია. (საზარა უაღვრებს კატას, ფისო, ფისო, მიაუთ, ფისო, ფისო, რა კარგია. სწონს.)

ლალუა.

მა! რა შერებე მაგას, ამუთე, სირცხელია, ვინც შეიტყობს საზარამ კატა აწონა, ბაზარ-ში რას გეტყვიან?

საზარა.

უნდა შევიტყო, ამან ჰამა, თუ შენა; მე რას დავდე, ვინც რამ უნდა თქოს. (სწონს ჩხვილით.) მა! ეს ნახევარ ჩარეკი არ გამო-დის! შენ ტყუი, მსუნაგო, შენ ჰამე განა და კატას დაბრალე, აბა კატას სად უტყვია, თუ მართალი ხარ, შე აე მუცელო!

(მოუთხარხუბ, შევიტყვებინა ერთმანეთს და ფარ-დაც დეშეშა.)

პირველი მოქმედების დასასრული.

მოსამდება მორკა.

ისეე ოთახი; ტახტის ალაგას ძირს ზგია ქეჩა ხალი-ჩა და ზედ სხედან შვეებით მგლოვიარები თეთრს ლეჩქ-ზედ შევი ხელცახ-ცები აქეთ შემოკრული ზემოდამ—შუ-ბლზე. შუაში ლალუა ზის, აქეთ და იქით ხანუმა და მკ-თაინა საზარას დები სხედან მოკეცილები; დივანზედ ზის ჩ. ნონეიკი ივან პეტროვიჩი, ამის პირ-და-პირ შარ-სადანა, იმასთან ნონია, შუაში გადამოილი სტოლი უღვათ, ზედ ორი ვერცხლის მანდლებით სამთლები უნ-თიათ, მიხაკას შემოაქვს ვერცხლის ფოდნოსით ჩაი, ჩა-მოარიგებს და გადს.

(ლალოჯან, ხანუმა, მკათაინა, ივან პეტროვიჩი, შარსადანა და ნონია.)

შარსადანა.

ივან პეტროვიჩი! თქვენ როგორ ინებებთ ამ საქმეს; იმ ცხონებულს დარჩა ნაღდი ფუ-ლი თერამეტი ათასი თუმანი, ოცი ათასის თუმნისა მეტი-ნასყიდი მამულები, გირაფინო-ბა, გაცემულება და თამასუტები; სულ თავის მოგებული და კეთილ შეძინებული, მე წმინ-დათ ვიცი ეს, იმას ჩემთან არა დაუმალამს რა, დიდი დოფერია, რწმუნება ჰქონდა ჩემ-თან, აი ცოდმაც კარგათ იცის, არა ლალო?

ლეთ, მაგალითათ, თითი და გაიშვებოდა. რეთ ქარის დროს; თქვენ შენიშნათ, რომ თითი შრება, იმის სისველე ორთქლათ იქცე-ვა და ზვეით ადის; ამის გამო თითი გაგიციე-დებთ ხოლმე. (ამ ნაირათ შეიძლება შეიტ-ყოს კაცმა—რომელი მხრიდან ჰქარის ქარი: რომელი მხრისაკენაც გაგიციელებათ დასე-ლებული თითი, ქარიც, უეჭველია, იქიდან ჰქარის). ორთქლის ადენის დროს სიცივის გა-ჩენაზეა დაფუძნებული ყინულის საკეთებელი მანა, რომელიც ძალიან უბრალოთ არის მოწყობილი: უბრალო ბოთლზე არის გაკე-თებული ჰაერის საქანელი, ტუმბო (ჰაერის ნასასი); ამ ბოთლში ჩაასხმენ წყალს ნახე-ვრამდი და ტუმბოთი ამოსწევენ ბოთლიდან ჰაერს ისე, რომ შიგ სულ არ დარჩეს ის; გა-მოიღვეთ თუ არა ბოთლში ჰაერი, წყალი იმ წამსვე დაიწყებს ორთქლის ადენას და ამის გამო ისე გცივდება, რომ ცოტა ხნის შემ-დეგ ყინულათ იქცევა.—ეს მანა ამ უკანა-სკენელს დროში გამოიგონეს; რადგანაც ის უფრო ჩქარა აკეთებს ყინულს (ოთხს მინუტ-ში ორ ბოთლს წყალს გარდაქცევს ყინუ-ლათ) და იფთავც ღირს (თხუთმეტ მანეთათ), ამის გამო, უეჭველია, სადაც ამ მანანს შე-მოიღებენ ზაფხულში ყინული გათაფდება.—

მრთს ფრანკოშულს ქურნალში არის და-ბეჭდილი სტატია, სახელად „ახალი სარწმუ-ნოება აზიასში“, რომელშიაც მოყვანილია რამდენიმე ცნობები სპარსეთის ახალ მქადა-

ლალუა.

მართალი, შენმა მზემ, ის ცხონებული იტ-ყოდა ხოლმე, ჩემი მოგება ერთი ლმერთმა იცის, ერთიც ჰო, შარსადანამაო; სულ ამ ზან-დუქშიაო; როდესაც წავიღოდა სოფლებში, ვუი ჩემ თვალებსა, მეტყოდა თუ, ლალოჯან, ჩემი სული ამ ზანდუქშიაო, თუ გიყვარვარ კარგათ შემიხანგო. მაი ჩემი ბრალი, მე ახ-ლა მარტო იმის სულს უყურებ, ჰოო... (მუ-ლები ბანს მისხახინ, ჰოო...)

ნონია.

მოითმინეთ; თქვენი ტირილით იმას აღარა ეშველება რა, მაგით იმის სულს ნუ ამძიმებთ; კარგია, დაგვატალეთ, საქმე უნდა დაიწყეთ. (მგლოვიარები დაიშუშდებიან, ჩაის სმას გაათავებენ და ნონია იტყვის.)

თქვენმა მზემ, ივან პეტროვიჩი, კი რამ იყო ის ცხონებული; საკვირველი ფულის მო-მგები: იმას მამაპაპისა არა დარჩომია რა თი-თზედ გადასახვევი ამ სახლის მეტი; რაც მო-უგია, სულ თავის კუთით უშოვნია; ძალიან ჰაზრიანი კაცი იყო, უნდა მოგასხენო, რომ იმისთანა ფულის გამოთხილებელი ერთი და ორი კიდევ არაინ იქნება; ასე გაზინჯეთ, რომ კედებოდა ცხონებული, ორი შაურის მალიათი რა არის, თავის თავზე არ დაუხარ-ჯამს, სულ ამ ზანდუქზედ ეჭირა თელი და ოხრამდა. დიდი ჯათის ამტანი კაცი იყო, მა-გრამ, რაკი აეთ გახდა, ჩავარდა ლოგინათ, ათი დღე არა უტყვია რა, არც ექიმი მიიკარა, ფული არ დამეხარჯოდა. მე უთხარ: საზარ, თავადებში ნაჩევეი ხარ კვი საქმელებს, ცო-ტა ბულკი მინც ჰამე მეთქი, შენი კუჭი ცო-დოდა, ათის დღის მშვიერია; იმან შეგნდა ზან-დუქს, ამოიოხრა ერთი ძალიან და თავი გა-იქნია; მე მინც არ მოვეშვი, ამ საწყალ ჩემ რძალს ლალოჯანს უთხარ, ორი ბულკი მოატა-ნინე, ერთ აბაზ მისცემ; საცოდავმა საზარამ რომ გაიგონა, გაჰყიტა თვალები, ენა კი აღარა ჰქონდა ელაპარაკნა და თითით გვა-ნიშნა ერთი ერთითა. მეც იმ საბრალომ უყუ-რა და უყურა ამ ზანდუქს, თვალი ზედ გაუ-შტერა, როგორც ბულკი დინახა, ერთი ისე-თი გააქრჯოდა, რომ მაშინვე სული მისცა.... ჩინოსანი (პუბლიკას.)

ნონია.

მაი ჩვენი ბრალი, ივან პეტროვიჩი; ფულის სი-



გებელზე—ზ ა ბ ზ ე და იმის მომხრეებზე. ჩვენ მოვიყვანთ აქ რამდონსამე ადგილს ამ სტატი- იდან: „შირა ალი-მამადი, რომელმაც დააფუძნა ახალი ერესი სპარსეთში, ძლიერ შესანიშნავი პირი არის; ის იყო ქ. შირაზიდან და გაიზარდა შერბელის სასულიერო სასწავლებელში. 1843 წ. იმან გაათავა სწავლა და წავიდა მამას ალის საფლავის თავყანის საცემით. (ალი, შიიტების სარწმუნოებით, წინასწარმეტყველის ნამდვილი მემკვიდრეა). დაბრუნდა თუ არა თავის სამშობლო ქალაქში—შირაზში, ალიმ გამოსცა „შირანის მანმარტება“, რომელშიაც გამოასთქვა ბევრი თავისუფალი აზრები და მოლოდინის წინააღმდეგი ლაპარაკობდა. ამ მოლოდინთან უთანხმოებამ აღძრა მთელი შირაზი; საზოგადოებამ ალის მხარე დაიჭირა, ასე რომ იმის მომხრეების რიცხვი თან-და-თან მატულობდა; ამ დროს იმან დაირქვა სახელათ ბაბი, რომელიც სპარსულათ ნიშნავს „საცხონებელ კარებს“. მოლოდინმა მიჰპარათეს მმართველობას და თხოვლობდენ მოესპათ ახალი სწავლა, ერესი; მმართველობამ ჯერ მაგდენათ არ მიაქცია ამ საქმეს ყურადღება, მაგრამ ცოტახნის შემდეგ მოსწერა შირაზის ლებერნატორს, რომ დაეტუსალებინა ბაბი. ამ შემთხვევამ გააჩუმა ბაბი, მაგრამ მის მაგიერ გამოჩნდენ სამნი მქადაგებელნი ამ ახალი ერესისა ბაბის მოწა-

ფეებში: ერთი იყო მოლოლა ჰუსეინი-ძალიან ჰუსეინი და მაგარი ხასიათის კაცი, მეორე ჰაჯი-მ-ა-ჰ-მ-ა-დი-ა-ლი-ბ-ალ-ფ-უ-რ-უ-ში, რომელსაც ხალხში იცნობდენ კეთილისმოყვარე და უბოლო ცხოვრების კაცთა და მესამე ერთი ახალგაზდა მშვენერი ქალი, სახელათ ზერინ-ბაღი, რომელიც იყო ძლიერ შესანიშნავი, სილამაზეს გარდა, თავის ჰუსეთა და ხასიათით.—1848 წ. მოკვდა შაჰი; სპარსეთში ჩამოვარდა არეულობა და ბაბი და იმის მომხრენი ამ დროს თავისუფლათ აერცვლებდენ თავის სწავლას. მაგრამ მალე ახალი შაჰი-ნასრედინი დაჯდა ტახტზე და დაუწყა იმათ სასტიკი დევნა; ბაბი, როგორც მოთავე ამ ერესისა, მოიხმეს თავის შიიტ მოლოდინის წინ გასამართლებლათ. ბაბმა მშვენერი დაიცვა თავის სწავლა და სასამართლოში მშვენერიათ ლაპარაკობდა, მაგრამ იმის ბედი წინათვე იყო გარდაწყვეტილი: იმას დაიკარგეს მომხრეებმა, რომლებიც აგრეთვე დატუსალებულნი იყვნენ, გარდაუწყვეტეს სიკვდილი. ბაბს და ერთს იმის მოწამეს გაუყარეს ილიებში თოჯ, ჩამოუყვეს მალაიკადლინი და ამ ნაირათ ჩამოკიდებულს ესროლეს თოფები; მაგრამ, გასაკვირველია, რომ ტყვეებმა გაცვეთეს მარტო თოჯი და ბაბი უენებლათ ჩამოვარდა ძირს; მოწამე კი მკვლარი დაცვა იქვე. ამ შემთხვევას საშინელი შთაბეჭდილება ჰქონდა მაყურებლებზე და სალადაობზე, მაგრამ ცოტახნის უკან ის დახერხებულ იქვე მიწაზე და შუბებით გაგვირეს. ახალგაზდა ქალს ზერინ-ბაღის გარდატყრეს კოცონზე დაწვა. როცა მიჰყავდათ დასაწვე-

ლათ, მშვენერს პირის სახეზე ჩამოვარეს პირბადე, რომელსაც თავის სიკოცხლეში არ ხმარობდა, როგორც იმათი ჩვეულება მოითხოვს.—ბაბის მემკვიდრეთ დანიშნეს თექვსმეტი წლის ყმაწვილი—ზერბერტ მხელი, რომელიც გაიქცა ბაბადლადში და იქ ძლიერ გაავრცელა ბაბის ახალი სწავლა.—სხვათა შორის ბაბის სწავლა თხოვლობს ქალების მდგომარეობის გაუმჯობესებას; ამის გამო, იმათი სწავლით, ბევრ-ცოლობა აღკრძალულია, რადგან ბევრ-ცოლობასთან ქალების მონობა აუცილებელი საქმე არის.—

**ნეტარ არს კაცი, რომელსაც გული არა ჰქონია მუდამ დაშული, არა ერთხელ მიანც გულითა ნება სრულათ ჰქონია მის გამოთქმული.**

**ნეტარ არს კაცი, რომელიც საფულს და მის ტალღას არ შეუღებია; თავისა მტრისა და დაუძღობელს მეგობრულათა შეგებია.**

**ნეტარ არს კაცი, რომელს სიმდიდრით საესე ზანდუკი არ ჰქონებია; მაგრამ რაც ჰქონდა, მყოფოლებით იმითი მიანც უტოვებია.**

**ნეტარ არს კაცი, ის ვინც შეაფულეს და მის ისარს არ შეშუკავებია; მიანც იმის ღელას არ დაკარგავებს და მისი შხამიც არ ჰგებებია.**

**ნეტარ არს კაცი, რომელსაც მარად თავის სამშობლო შეჰყვარებია,**

მისა საწადლოდ და მის საფუძვლად თავის სიკოცხლე არ ჰხარებია.

**მეგრამ ნეტარ არს კაცი ის უფრო, მიანც თავის ბედს არ გაჩერებია; სანამ მის გულში სევდას ვაგელო, მანამ ამ სოფელს მოშორებია...**

**მ. შალადიდელი.**

**1869 წ. 14 აგვისტოს.**

**ფონიბა**

თბილისიდან ფონიბა მიდის: ო რ შ ა ბ ა - თ ო ბ ი თ მ რ ე ე ა ნ შ ი და ჯ უ ლ ხ ი ს ა კ ე ნ . — ს ა მ - შ ა ბ ა თ ო ბ ი თ ბ ა ქ ე ს გ ე უ ბ რ ნ ი ა შ ი და შე - მ ა ხ ა შ ი — მ ს უ ბ ლ უ ქ ი ფ ო ნ ი ბ ა . — ო მ ხ შ ა ბ ა თ ო - ბ ი თ რ უ ს ე თ შ ი , მ ლ თ ა მ ს ი — შ ო თ ა მ დ ი ნ , მ რ ე - ე ა ნ შ ი , ა ლ ე ქ ა ნ დ რ ო პ ო ლ შ ი და ნ ო ე ო ბ ა ი ა ზ ე თ - შ ი . — ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ — რ უ ს ე თ შ ი . — პ ო რ ა ს კ ე ო ბ ი თ — მ ლ თ ა მ ს ი , მ ა ხ ე თ შ ი და მ რ ე ე ა ნ შ ი . შ ა ბ ა თ ო ბ ი თ — რ უ ს ე თ შ ი და შ ე მ ა ხ ა შ ი . — ს ე ი რ ო ბ ი თ რ უ ს ე თ შ ი და მ ლ თ ა მ ს ი .

**ტელეგრაფი.**

დღევანდის გასაგზავნი ფასი თბილისიდან: მ ლ თ ა მ ს ი , ბ ა ქ ო ს , მ ო ლ დ ი კ ა ე კ ა ხ ს , ო რ ა ბ ი - რ ს , შ ო თ ს , მ რ ე ე ა ნ შ , ა ხ ა ლ ი ხ ი ს , ნ ე - ხ ა ს , შ ე მ ა ხ ა ს — 1 მ ა ნ . ასტრახანს, მერჩში, მოსკოვს და მოსკოვს — 2 მ ა ნ . — ბ ო რ ს , ს ი - ლ ო ს — 50 კ ა ბ . — მ ე ტ ე რ ო ბ ო რ ს , მ ე ნ ე ე ა ს , ს ო ა მ - ბ ო ლ ს — 3 მ ა ნ . — პ ო რ ი ხ ს , ლ ი ო ნ ს , მ ო რ ს ე ლ ს — 3 მ ა ნ . და 38 კ ა ბ .

რაც გენებავს, მიბრძანე აღეასრულო, ოღონდ ეს ზანდუკი გავიკეთო, ჩემი ათასი თუმნის თამასუქია შიგ; ის ჩუმათ ამოვიღოთ, ღვედლების ხელში არ ჩაეარდეს.

**კვარტალი.**

რას გაგიფულეობარ, როგორ იქნება გავა- ლო, სულ აიკლებენ.

**ზარსადანა.**

შენ გენაცვალე, თქვენო კეთილშობილე- ბა, ნუ დაძლუპამ, ყმათ დამისახლე.

**კვარტალი.**

ჰო, კარგი, ეს დედაკაცი კი ჩამამაცალო, წვილით პოლიციაში, იქ ენახათ.

**ზარსადანა.**

მართლაც, პატრონსა სიტყვას მაძლევ, თქ- ვენო კეთილშობილებავ?

**კვარტალი.**

მართლაც გეუბნენ მეთქი, ხომ იცი ჩემი სიტყვა ბეჭედი, რასაც ვიტყვი....

(ზარსადანა მიუა ზანდუკთან, იმედიათ და ამაყდ ეტყვის მგლოვიარებს.)

**ზარსადანა.**

თქვენ ნუ გეშინიანთ, დაანებეთ, წაიღონ; ჩემი ბეჭედი და ბეჭედილია, გასაღები ნონიას აქვს; ვის შეუძლიან უჩვენოთ გააღონ; ჩვენ არავის დაენებებთ შაჰარას მოგებას, ღვედ- ლები როგორ წავართმევენ; რა სამართალი იქნება!

(მგლოვიარები გადმოვიდნენ ზანდუკამ; სამი კაცი სწვეს ზანდუკს და მიეჭათ. ზარსადანას და ნონიას უჭირავთ მგლოვიარები, ესენი იწვევენ ზანდუკს და არ უნდათ დაანებონ.)

(მგლოვიარები მისძახიან.)

**ზარსადანა.**

ბენაცვალეთ, სად მიგაქვსთ შაჰარას მოგე- ბა ფული სული, არ დაგანებებთ, შენმა მზემ! ლალუა.

**ზარსადანა.**

მაგაში შაჰარას სულია, რათ მაშორებთ მაგას.

**კვარტალი.**

**ოჰ!** რა მძამეა? შთოდ ამის პატრონი წა- წყმენდილია, რომ თავის მოგება ღვედლების- თვის მიუკთვა; ისეც იქნება-ამ საწყლების სა- ცოდაობით რა კეთილი ეყრება, უთუოთ სი- კვდილის დღეს ღვედლებმა ჩაგვანეს. (ბაიტა- ნენ.)

**მგლოვიარები.**

ბენაცვალეთ შაჰარას სული ეხლა კი ემ- მაკებმა წაიღეს, ჰოო...

**ზარსადანა.**

ახლა გაქეთ, თქვე საცოდავო, თავში სა- ცემიც და სატირელიცა, შაჰარას ფულებიც და ჩემი თამასუქიც ღვედლებს დარჩათ, სული ეშვამება.

(მგლოვიარები წაიშინენ თავში და გააგრძელებენ გაებას. ზარსადანა მოუბრუნდება პუბლიკას და გა- ჯავბებული ეტყვის.)

**ეშვამის მუშა**

**ღმერთმა დაფუშა!**

(ზარსადანა დეჰევა.)

**ღ. მელდინეისუცესკოვი.**